„ვამტკიცებ“
საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია

საქართველოს სენიორთა ჩემპიონატი
1 – 8 აპრილი, 2026 წ.
ქ. თბილისი, საჭადრაკო კლუბი “მერანი”, დ. აღმაშენებლის 103.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

1. ორგანიზატორი:
საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია;

2. ტურნირები:
2.1. ღია ტურნირი;
2.2. ქალთა ტურნირი.

3. ღონისძიების მართვა:
განსაკუთრებულ / გაუთვალისწინებელ შემთხვევებში, რომელიც არ არის განსაზღვრული ამ დებულებით, ტურნირის დირექტორს ფედერაციის პრეზიდენტთან შეთანხმებით აქვს უფლება განახორციელოს ნებისმიერი სახის შესწორება დებულებაში.

4. ჩატარების ვადები და ადგილი:
01.04-08.04. 2026 წ. ქ. თბილისი, საჭადრაკო კლუბი “მერანი”, დ. აღმაშენებლის 103.

5. სათამაშო წესები:
5.1. დროის კონტროლი: 60 წუთი პარტიის ბოლომდე, 30 წამის დამატებით ყოველ სვლაზე;
5.2. ტურნირები ტარდება ფიდეს წესებით, შვეიცარიული სისტემით 7 ტურად;
5.3. აუცილებლობის შემთხვევაში ტურნირის ჩატარების სისტემას განსაზღვრავს ორგანიზატორი;
5.4. დაითვლება ფიდეს რეიტინგი.

6. მონაწილენი და რეგისტრაცია:
6.1. ყველა მონაწილეს უნდა ჰქონდეს გადახდილი 2026 წლის საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წლიური საწევრო შესატანი **(დანართი 1)** საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის საბანკო ანგარიშზე (სს "საქართველოს ბანკი" საბანკო ანგარიში: **GE30BG0000000584705115**). ასევე, შევსებული ელექტრონული ფორმა https://forms.gle/m2GjMRs6FzbMYei3A
6.2. ტურნირში მონაწილეობის უფლება აქვთ 1977 წლის 1 იანვრამდე დაბადებულ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წევრ კაცებს და ქალებს;
6.3. მონაწილეებმა რეგისტრაციისას უნდა შეავსონ ონლაინ სარეგისტრაციო ფორმა - https://forms.gle/rBitzH8ZfiwRUnHPA ამავე ფორმაში უნდა ატვირთონ პირადობის მოწმობის ასლი.
რეგისტრაციის ბოლო ვადაა 2026 წლის 30 მარტი 18:00 სათი.
რეგისტრაციის ბოლო ვადის დარღვევის შემთხვევაში ორგანიზატორს უფლება აქვს არ დაარეგისტრიროს მოჭადრაკე რომელმაც დაარღვია რეგისტრაციის ვადები.
ნატა ალავიძე: ელ-ფოსტა - n.alavidze64@gmail.com მობ: 558 11 86 83
6.4. სამივლინებო ხარჯებს გაიღებენ მიმავლინებელი ორგანიზაციები.

7. თაი – ბრეიქი:
ორი ან რამოდენიმე მონაწილის მიერ თანაბარი რაოდენობის ქულების დაგროვების შემთხვევაში ადგილები განაწილდება:
1. ურთიერთშორის შეხვედრა;
2. ბუჰგოლცი-1 (1 უდაბლესის გამოკლებით);
3. ბუჰგოლცი (ყველა მეტოქის ქულათა ჯამი);
4. შავებით ნათამაშები პარტიების მეტი რაოდენობით;
5. მოგებების მეტი რაოდენობით.

წრიული ტურნირის შემთხვევაში:

1. ზონებორნ-ბერგერის კოეფიციენტი;
2. მოგებების მეტი რაოდენობა;
3. ურთიერთშორის შეხვედრა;
4. კოიას სისტემა.
5. თუ ოთხივე მაჩვენებელი თანაბარია, გათამაშდება დამატებითი პარტიები ელვისებურ ჭადრაკში პირველ გამარჯვებამდე.

8. ტურნირის განრიგი:

ტური	რიცხვი	საათი
ჩამოსვლის დღე	1 აპრილი	
I ტურის კენჭისყრა	1 აპრილი	20:00
გახსნა	2 აპრილი	11:45
I ტური		12:00
II ტური	3 აპრილი	12:00
III ტური	4 აპრილი	12:00
IV ტური	5 აპრილი	12:00
V ტური	6 აპრილი	12:00
VI ტური	7 აპრილი	12:00
VII ტური	8 აპრილი	12:00
დახურვა	8 აპრილი	15:00

9. დაჯილდოება:

- I ადგილზე გასული მოჭადრაკეები დაჯილდოვდებიან თასებით, მედლებით და დიპლომებით;
- II-III ადგილზე გასული მოჭადრაკეები დაჯილდოვდებიან მედლებით და დიპლომებით;
- I ადგილზე გასული მოჭადრაკეები მიიღებენ 2026 წლის მსოფლიო სენიორთა ჩემპიონატის საგზურს.

10. საერთო წესები:

- ტურის დაწყებიდან 30 წუთზე მეტის დაგვიანების შემთხვევაში მონაწილეს ჩაეთვლება წაგება;
- ნებისმიერ მონაწილეს შესაბამისი პარტიის დასრულებიდან 30 წუთის განმავლობაში უფლება აქვს გაასაჩივროს მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილება სააპელაციო კომიტეტში. მონაწილე ვალდებულია წერილობით პროტესტთან ერთად საქართველოს ჭადრაკის ფედერაციაში გადაიხადოს 50 ლარი, რომელიც პროტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში უკან დაუბრუნდება.

11. სამართლიანი თამაშის წესების დაცვა:

სამართლიანი თამაშის წესების დაცვა განსაზღვრულია დებულების დანართით.

ტურნირის დირექტორი: საერთაშორისო ორგანიზატორი - დათო კოდუა

მთავარი მსაჯი: ეროვნული არბიტრი - პაატა ვაშაკიძე